სამეცნიერო კვლევა „წარსულის ტყვეობაში: ქართველი დევნილების ჩახშული ხმები და სოციალური ინტეგრაციის დილემა“ (იანვარი, 2016)

მეხსიერების კვლევების კავკასიურმა ცენტრმა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი) განახორციელა კვლევა ნორვეგიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2015 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში.
კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო ფოკუს ჯგუფის ჩატარება, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა.

კვლევის დასახელებაა: „წარსულის ტყვეობაში: ქართველი დევნილების ჩახშული ხმები და სოციალური ინტეგრაციის დილემა“. კვლევითი ჯგუფი მიზნად ისახავდა აკადემიური კვლევის განხორციელებას და, ამასთან ერთად, დევნილების პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებილებებისთვის თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.